ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7140727

ნომერი: AR11047659

თარიღი : 15.07.2024

გაცემის თარიღი : 23.07.2024

გაცნობის თარიღი : 23.07.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, კოტე აფხაზის ქუჩა, N 5-7;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზვიად სურგულაძე პ/ნ 01017010566
- თბილისი ლ.გუდიაშვილის ქ. N 9

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 15 ივლისის №7116837 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 15 ივლისის №AR11047659 განცხადებით მომართა ზვიად სურგულაძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 15

ივლისის №7116837 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 15 ივლისის №7116837 ბრძანებით №01.18.03.039.030 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა სავაჭრო ცენტრის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 15 ივლისიდან 2027 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად..
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 15 ივლისის №7116837 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, კალენდარული გრაფიკით მშენებლობის ეტაპების მეორე რიგის სამუშაოების „3) ა)“ ქვეპუნქტში ჩანაწერის: „ა) შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები“-ს ნაცვლად დაფიქსირებულია „ა) შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები; ქვაბულის ფერდების გამაგრება შპუნტური კედლის მეშვეობით“. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. კერძოდ, შეთანხმებული მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკით, მშენებლობის ეტაპების მეორე რიგის სამუშაოებში დაფიქსირებულია: „ა) შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები“.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 15 ივლისის №7116837 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტის „3) ა)“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები“.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 15 ივლისის №7116837 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 15 ივლისის №7116837 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.